თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გარე განათების სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგის ანგარიში

თბილისი
2012

მონიტორინგის ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის - **„გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა საქართველოში“** - ფარგლებში, **ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI)** ფინანსური მხარდაჭერით.

მონიტორინგის ანგარიშში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს **ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI)** პოზიციას.

ავტორი: **რაჟდენ ხიმშიაშვილი**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **თამარ ჩუგოშვილი**
ეკატერინე ფოფხაძე
სულხან სალაძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
ტირაჟი: 100 ც.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2012, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი 4
   1.1. ანგარიშის შესახებ 4
   1.2. კვლევის მეთოდოლოგია 5
   1.3. კვლევის ძირითადი მიგნებები 5
      1.3.1. განცხადების გამოქვეყნების კანონით დადგენილი წესის დარღვევა 6
      1.3.2. სხვაობა შესყიდვის წინასწარ განსაზღვრულ წლიურ გეგმასა და სატენდერო განცხადებაში მითითებულ ფასებს შორის 8
      1.3.3. გართულებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები 8
      1.3.4. სატენდერო წინადადების განხილვა, შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა 9
2. გარეგანათების პროგრამის სახელმწიფო შესყიდვები სახეობების მიხედვით 10
   ტენდერი - 300 ცალი სანათის შეძენა 10
   ტენდერი - 126 ცალი გარეგანათების ბოძის შეძენა 13
   ტენდერი - 20 ცალი გარეგანათების დეკორატიული ბოძის შეძენა 15
   ტენდერი - კ. გამსახურდიას ქუჩის (ჭავჭავაძის ქუჩიდან მ. აბაშიძის ქუჩამდე) განათების სამუშაოები 16
   ტენდერი - გარეგანათების ბოძების შეძენა-მონტაჟი 17
   ტენდერი - გარეგანათების წერტების მოვლა-ექსპლუატაციის მომსახურება 18
   ტენდერი - ქ. ბათუმის ქუჩების განათების სამუშაოები 20
   ტენდერი - 229 ცალი დეკორატიული ბოძის სანათებით შესყიდვა 21
   ტენდერი - ქ. ბათუმში ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის მიმდებარე სკვერის განათება 23
   ტენდერი - ფარნავაზ მეფის ქ. #25-ში მშენებარე შენობების ფასადებისა და ი.ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის ფასადის მინათების სამუშაოები 24
   ტენდერი - ახალშემოერთებულ ტერიტორიაზე ქუჩების განათების სამუშაოები 26
3. დასკვნა 27

1. შესავალი

1.1. ანგარიშის შესახებ

წარმოდგენილი ანგარიშით საია იწყებს, პერიოდულად, საზოგადოებისთვის იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც დაკავშირებულია ბოლო წლებში ქ. ბათუმში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებასა და ამ პროცესში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულებასთან. ***წინამდებარე ანგარიში შეეხება ბათუმის მერიის მიერ 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გარეგანათების სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგს.*** ამასთან, ანგარიში ეხება თავად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესს და იგი არ მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების პროცესს და ხარისხს.

ანგარიშში დეტალურად არის განხილული ბათუმის მერიის მიერ 2010 წელს გარეგანათების სახელმწიფო შესყიდვების მიზნით ჩატარებული თითოეული სატენდერო შესყიდვა და ის პროცედურული დარღვევები, რომლებიც სატენდერო კომისიის მხრიდან გამოვლინდა. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ის დარღვევა, რომელიც მონიტორინგის ანგარიშშია ასახული, შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტებზეა დამყარებული.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ, ვინაიდან მონიტორინგის ანგარიში, ქ. ბათუმის მერიის მიერ 2010 წელს განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებს ეხება, ანგარიშის მომზადების დროს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ის რედაქციაა გამოყენებული, რომელიც იმ დროისათვის იყო მოქმედი და რომლითაც ყველა იმ დაწესებულებას უნდა ეხელმძღვანელა, რომლებზეც სახელმწიფო შესყიდვების ვალდებულება ვრცელდებოდა.

ბათუმის მერიის მიერ 2010 წელს განხორციელებული გარეგანათებისსახელმწიფოშესყიდვებისმონიტორინგისანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის მიერ, პროექტის „ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა საქართველოში“, „ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI)“ ფინანსური მხარდაჭერით.

1.2. მეთოდოლოგია

მონიტორინგის ანგარიშზე მუშაობის დროს საიას აჭარის ფილიალის მიერ აქტიურად გამოიყენებოდა ისეთი მეთოდები, როგორიცაა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან ოფიციალური ინფორმაციის გამოთხოვნა და მიღებული დოკუმენტაციის ანალიზი. მასალების მოპოვება ხდებოდა, ასევე, საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებიდან.

ანგარიშის მომზადების დროს საიას აჭარის ფილიალმა ინფორმაციებიგამოითხოვა შემდეგი საჯარო დაწესებულებებიდან:

- თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია;
- სსიპ ,,ბათუმის ბულვარი";
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, საჯარო დაწესებულებებში სულ წარდგენილ იქნა 50 განცხადება. განცხადებათა ასეთი სიმრავლე იმით იყო გამოწვეული, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პირველ ეტაპზე ადმინისტრაციული ორგანოები, არცთუ იშვიათად, ინფორმაციას არასრულყოფილი სახით გასცემდნენ, რის გამოც საიას აჭარის ფილიალს განმეორებით უწევდა მიმართვა სასურველი ინფორმაციის მისაღებად.

1.3. კვლევის ძირითადი მიზნები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი წარმოადგენს იმ ნორმატიულ აქტს, რომელიც ეხმარება ადმინისტრაციულ ორგანოებს, საბიუჯეტო სახსრები განკარგონ კანონის შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა წარმოადგენს ზუსტად გაწერილი წესების ერთობლიობას და ემსახურება თანხების ეფექტურად ხარჯვას, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, გადაწყვეტილებების მიღებისას მეტ გამჭვირვალობას და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, გარკვეულწილად არის კორუფციული გარიგებებისგან თავის დაცვის მექანიზმი.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მიმდინარეობის ეტაპზე

კანონმდებლობა სახელმწიფო შესყიდვის სულ სამ ფორმას იცნობდა: ერთ პირთან მოლაპარაკება, ფასთა კვოტირება და ტენდერი.[1]

ამასთან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის #1 ბრძანება[2] შესაბამისი სიზუსტით არეგულირებდა სატენდერო შესყიდვების განხორციელების წესს. მიუხედავად ამისა, ***სატენდერო კომისიის საქმიანობაში გამოვლინდა არაერთი ხარვეზი და ტენდენცია, რაც, რიგ შემთხვევაში, გამოწვეული იყო კანონმდებლობით დადგენილი წესების უგულებელყოფით.***

კვლევის ძირითადი მიგნებების სისტემიზაცია შეიძლება შემდეგი სახით:

1.3.1. განცხადების გამოქვეყნების კანონით დადგენილი წესის დარღვევა

იმისათვის, რომ ტენდერის ჩატარების შესახებ ინფორმაციამ დაინტერესებულ პირებამდე მიაღწიოს, სახელმწიფო

---

[1] **ა). ერთ პირთან მოლაპარაკება** გამოიყენება, როდესაც, შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 50 000 ლარს, ხოლო სამუშაოს ღირებულება - 100 000 ლარს. ამასთან, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველები, შემსყიდველი ორგანიზაცია თვითონ წყვეტს, ვინ შეარჩიოს მიმწოდებლად.

ბ). **ფასთა კვოტირება** შესყიდვის ისეთი ფორმაა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, იმ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულება 100 000 ლარზე ნაკლებია, აგრეთვე, იმ სამუშაოს შესყიდვისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულება 200 000 ლარზე ნაკლებია.

გ). ტენდერი შესყიდვის ყველაზე რთული და ხანგრძლივ ვადიანი პროცედურაა. იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვა არ ხდება ერთ პირთან მოლაპარაკების ან ფასთა კვოტირების წესით. ტენდერის მიზანია, შეირჩეს საუკეთესო მომწოდებელი ფასის, სამუშაოს შესრულების ხარისხის, საუკეთესო პირობების და სხვა მაჩვენებლების მიხედვთ. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2010 წლის 31 დეკემბრამდე არსებული რედაქცია.

[2] ძალადაკარგულად გამოცხადდა სახელმწიფო შესყიდვების სააგანეტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძნაებით.

შესყიდვების კანონის ცვლილებამდე არსებული რედაქციით, სატენდერო კომისია ვალდებული იყო, რომ სატენდერო განცხადება გამოექვეყნებინა ფართოდ გავრცელებად მედია საშუალებებში.[3]

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-8 მუხლის თანახმად, ასეთ მედია საშუალებად მიჩნეული იყო გაზეთი ,,24 საათი", სადაც პერიოდულად ქვეყნდებოდა ინფორმაცია ტენდერის ჩატარების შესახებ. გარდა ამისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებდა დამატებით პროცედურებს, როდესაც შესყიდვის, საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატებოდა 600,000 ლარს, ხოლო სამუშაოს ღირებულება 8,000,000 ლარს, მაშინ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული იყო, განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოექვეყნებინა იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში, რომელიც ფართოდ ვრცელდებოდა საერთაშორისო მასშტაბით.[4] ***მნიშვნელოვანია, რომ ქ. ბათუმის მერიამ 2010 წელს, საქონლის და მომსახურების მიღების მიზნით, ოთხი სატენდერო შესყიდვა განახორციელა, რომელთა სავარაუდო ღირებულება აღემატებოდა 600,000 ლარს. მიუხედავად ამისა, მერია განცხადების გამოქვეყნების დროს შემოიფარგლა გაზეთი „24 საათით", რითაც დაირღვა არა მარტო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა, არამედ დაიკარგა იმის შესაძლებლობაც, რომ ტენდერით დაინტერესებულიყვნენ უცხოური კომერციული კომპანიები, მითუმეტეს, რომ ტენდერებში გამარჯვებული პირები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, საქონლის შემოტანას ძირითადად უცხოეთიდან ახორციელებდნენ.*** შესაბამისად, აღარ არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ ქ. ბათუმის მერიას სასურველი ობიექტი გაცილებით დაბალ ფასად შეესყიდა.

---

[3] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი, 2010 წლის 31 დეკემბარამდე არსებული რედაქციით.

[4] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის ,,1.ბ"პუნქტი, 2010 წლის 01 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია.

1.3.2. სხვაობა შესყიდვის წინასწარ განსაზღვრულ წლიურ გეგმასა და სატენდერო განცხადებაში მითითებულ ფასებს შორის

კიდევ ერთი საკითხი, რომელთანაც საიას აჭარის ფილიალს ანგარიშზე მუშაობის დროს მოუწია შეხება, შეიძლება მონიტორინგის მნიშვნელოვან მიგნებადაც მივიჩნიოთ, ეს არის სხვაობა შესყიდვის წინასწარ განსაზღვრულ წლიურ გეგმასა და სატენდერო განცხადებაში მითითებულ ფასებს შორის.

ბათუმის მერიის მიერ 2010 წელს გარეგანათების სახელმწიფო შესყიდვების მიზნით გამოცხადებულ ტენდერებთან დაკავშირებით, ***არცთუ იშვიათ შემთხვევაში, არსებითი სხვაობაა შესყიდვის წინასწარ განსაზღვრულ წლიურ გეგმასა და სატენდერო განცხადებაში მითითებულ ფასებს შორის,*** რაც, თავისთავად, აჩენს კითხვებს, თუ რა მიზანს ემსახურებოდა და რა სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა აღნიშნულ ქმედებას.

1.3.3. გართულებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა რაოდენობა. უმრავლეს შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ერთი პრეტენდენტის, კერძოდ, შპს „აჭარგანათების“ დომინირებულ მდგომარეობას, ხოლო სხვა შემსყიდველი ორგანიზაციები იშვიათად გამოთქვამდნენ ტენდერში მონაწილეობისსურვილს. შეიძლებავივარაუდოთ,რომაღნიშნული ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერში მონაწილე სუბიექტებს უდგენდა ისეთ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებიც პირდაპირ არ გამომდინარეობდა შესყიდვების შესახებ კანონმდებლობიდან და შესაძლოა დამატებითი ბარიერი გამხდარიყო ტენდერში მონაწილე დაინტერესებული კომპანიებისთვის.

მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ საკვალიფიკაციო კრიტერიუმად გათვალისწინებული იყო შემდეგი მოთხოვნა:

- *ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (ცალ-ცალკე 2007, 2008 და 2009 წლებში) შესრულებული უნდა ჰქონოდა ანალოგიური ხასიათის და შინაარსის სამუშაოები.*

უმრავლეს შემთხვევაში, კომპანია, რომელიც ამ კრიტერიუმის დაკმაყოფილებას ახერხებდა, იყო შპს „აჭარგანათება“, რის

გამოც აღნიშნული კომპანია ხშირად ტენდერში უკონკურენტო იყო.

გარეგანათების პროგრამის ფარგლებში სულ გამოცხადდა 15 სატენდერო შესყიდვა, საიდანაც 14-ში გამარჯვებულად შპს „აჭარგანათება" გამოცხადდა. აქედან 7 სატენდერო შესყიდვაში ეს უკანასკნელი მონაწილეობდა ერთპიროვნულად, ხოლო სხვა დანარჩენ ტენდერებში მასთან ერთად მონაწილეობას იღებდა: შპს „ერისიმედი", შპს „მეგობრობის შუქი", შპს „ჯეო ელექტრიკი". შპს „აჭარგანათება" მხოლოდ ერთადერთ სატენდერო შესყიდვაში დამარცხდა.[5]

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ***სატენდერო შესყიდვები შესაძლოა გარკვეულწილად მორგებული იყო ერთი კომპანიის კერძო ინტერესებს, რის გამოც შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის მიზანი - ჯანსაღი კონკურენციის შექმნა და სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის ეფექტურობა - ვერ განხორციელდა.***

1.3.4. სატენდერო წინადადების განხილვა, შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა

სატენდერო შესყიდვების მნიშვნელოვან და დასკვნით ეტაპს წარმოადგენდა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების განხილვა, შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად, სატენდერო კომისიის წევრი ვალდებული იყო, გამარჯვებულის გამოვლენის დროს წარმოედგინა წერილობითი დასკვნა, სადაც დეტალურად იქნებოდა აღწერილი ყველა ის გარემოება, რომელთა საფუძველზეც პრეტენდენტს უპირატესობა მიანიჭა. საიას აჭარის ფილიალის მიერ შესწავლილ ***არც ერთ სატენდერო შესყიდვაში მსგავსის სახის წერილობითი დასკვნა კომისიის წევრების მხრიდან არ ყოფილა წარმოდგენილი.*** გადაწყვეტილების მიღების დროს ისინი მხოლოდ ზეპირი შეფასებით და სხდომის ოქმში თავიანთი გადაწყვეტილების დაფიქსირებით შემოიფარგლებოდნენ, რაც კანონის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.[6]

---

[5] ტენდერი - 300 ცალი სანათის შესაძენად.

[6] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი. 2010 წლის 01 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია.

2. გარეგანათების პროგრამის სახელმწიფო შესყიდვები სახეობების მიხედვით

ტენდერი - 300 ცალი სანათის შეძენა

(ხელშეკრულება #45)

ქ. ბათუმის მერიის მიერ დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმის თანახმად, 2010 წლის 21 იანვარს გამოცხადდა ტენდერი 300 ცალი სანათის შესყიდვასთან დაკავშირებით. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება გამოქვეყნდა გაზეთ ,,24 საათში", სადაც შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად მითითებული იყო 111,000 (ას თერთმეტი ათასი) ლარი, ხოლო პრეტენდენტს უფლება ჰქონდა, წარედგინა მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება[7].

საინტერესოა, რის საფუძველზე განსაზღვრა სატენდერო კომისიამ შესყიდვის ობიექტის ფასი მაშინ, როცა, შესყიდვების წლიური გეგმის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ქ. ბათუმის ბიუჯეტში 300 (სამასი) ცალი სანათის შესაძენად გათვალისწინებული იყო 90,900 ლარი. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად.** ***მოცემულ შემთხვევაში კი, კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში შესყიდვის ღირებულება 20,100 ლარით აღემატებოდა შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ ფასს.*** შესაბამისად, გაუგებარია, რა მიზანს ემსახურებოდა სატენდერო კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება, მაგრამ ცალსახაა, რომ სატენდერო კომისიამ დაარღვია კანონის იმპერატიული დათქმა, რის გამოც სატენდერო შესყიდვის პროცედურა საწყის ეტაპზევე კანონდარღვევით დაიწყო.

საწყის ეტაპზე აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა შემდეგმა ხუთმა დაინტერესებულმა პირმა: 1) „საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი"; 2) შპს „მეგობრობის შუქი"; 3) შპს „ჯეო ელექტრიკი"; 4) შპს „აჭარგანათება"; 5) შპს „საქენერგო კომპლექტი". ამათგან მხოლოდ სამმა კომპანიამ წარადგინა

[7] გაზეთი «24 საათი», 21.01.2010.

სატენდერო წინადადება:

ტენდერში მონაწილე სუბიექტები	შეთავაზებული ფასი (ლარებში)
შპს „ჯეო ელექტრიკი”	105 000
შპს „აჭარგანათება”	111 000
შპს „მეგობრობის შუქი”	1) 90 900 2) 93 000

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უფლება ჰქონდა, წარედგინა ერთი სატენდერო წინადადება, თუმცა, მიუხედავად ამისა, მერიის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში აღმოჩნდა შპს „მეგობრობის შუქის” მიერ ორი სატენდერო წინადადების წარდგენის დამადასტურებელი მტკიცებულება, სადაც, ერთ შემთხვევაში, შეთავაზებულია 93,000 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში - 90,900 ლარი.[8] „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ” დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად,[9] იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ან/და დასაშვებია ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარმოდგენა ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირთა სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი, განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას აღნიშნულის შესახებ. ამავე დებულების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ყოველ პრეტენდენტს აქვს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადების წარდგენის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია დასაშვებად ჩათვლის ალტერნატიული წინადადებების წარდგენას, რის შესახებაც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ და სატენდერო დოკუმენტაციაში”. ***მიუხედავად იმისა, რომ ალტერნატიული წინადადების წარდგენის შესახებ სატენდერო განცხადებაში მითითებული არ იყო, სატენდერო კომისიამ მაინც დაუშვა ორივე სატენდერო წინადადება.*** თუმცა, უცნობია, რის საფუძველზე ჩათვალა სატენდერო კომისიამ, რომ სწორედ 90.900 ლარის ღირებულების

[8] ორივე სატენდერო წინადადება წარდგენილია ერთსა და იმავე რიცხვში.
[9] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2009 წლის 3 იანვრის №1 ბრძანება, 2010 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია.

სატენდერო წინადადება შეესაბამებოდა პრეტენდენტის ნებას, ამ ფასით მოეხდინა საქონლის მოწოდება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სატენდერო კომისია ვალდებული იყო, მიემართა პრეტენდენტისათვის სატენდერო წინადადების დაზუსტების მოთხოვნით და მხოლოდ ამის შემდგომ განეხილა კონკრეტული წინადადების დაშვება-არდაშვების საკითხი.[10]

სატენდერო წინადადებების გახსნისა და ფასების გამოცხადების შემდეგ, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც, სამივე პრეტენდენტი დაშვებულ იქნა ზეპირ ვაჭრობაზე. ზეპირი ვაჭრობის პროცედურა ჩატარდა 2010 წლის 23 თებერვალს, რომელშიც მონაწილეობდნენ შპს „ჯეო ელექტრიკის" და შპს „მეგობრობის შუქის" წარმომადგენლები, ხოლო შპს „აჭარგანათების" მხრიდან სხდომაზე წარმომადგენელი არ გამოცხადებულა, რის გამოც, მის მიერ სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული შესყიდვის ღირებულება შემოთავაზებულ ფასად ჩაითვალა.

ზეპირი ვაჭრობის მე-3 ეტაპზე დაფიქსირდა შესყიდვის შემდეგი ფასი:

ტენდერში მონაწილე სუბიექტები	შეთავაზებული ფასი (ლარებში)
შპს ,,აჭარგანათება"	111 000
შპს ,,ჯეო ელექტრიკი"	91 000
შპს ,,მეგობრობის შუქი"	90 900

მომდევნო ეტაპს წარმოადგენდა სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა წინადადებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა. სატენდერო კომისიის #13-4 ოქმის საფუძველზე ირკვევა, რომ სატენდერო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოცხადდა შპს ,,მეგობრობის შუქი". „სახელმწიფო შესყიდვების წესის განხორციელების შესახებ" დებულების მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისიის თითოეული წევრი წერილობითი ფორმით აფასებს ყოველი პრეტენდენტის

[10] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლი. 2010 წლის 01 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია.

სატენდერო წინადადებას ცალ-ცალკე. სატენდერო კომისიის წევრები თავის წერილობით შეფასებაზე წერენ დასკვნას და ადასტურებენ ხელმოწერით. ***საიას მიერ გამოთხოვნილ სატენდერო დოკუმენტაციაში მსგავსი სახის წერილობითი დასკვნები არ აღმოჩნდა.*** ეს კი გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ კომისიამ მოცემული გადაწყვეტილება ზეპირი შეფასების საფუძველზე მიიღო, რაც შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს.[11]

ტენდერი _ 126 ცალი გარეგანათების ბოძის შეძენა (ხელშეკრულება #103 05.03.2010)

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, 2010 წლის 21 იანვარს გამოცხადდა ტენდერი გარე განათების 126 ბოძის შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 1,858,800 ლარით ***(ერთეული ბოძის ღირებულება - 14,752 ლარი)***[12].

სატენდერო შესყიდვის წარმოების პირველ და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა სატენდერო განცხადების ტექსტის მომზადება და მისი სათანადოდ გავრცელება, რათა ინფორმაციას მიეღწია გამოცდილ, კვალიფიციურ კომპანიებამდე და შემდგომ მოეზიდათ ისინი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

გარდა იმისა, რომ განცხადების გამოქვეყნებას გარკვეული მარკეტინგული ხასიათი ჰქონდა, აღნიშნული წარმოადგენდა საკანონმდებლო ვალდებულებასაც. კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების თანახმად, ტენდერის ჩატარებისას სატენდერო კომისია შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას აქვეყნებს სააგენტოს მიერ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საინფორმაციო საშუალებაში. იმ შემთხვევაში, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 600,000 ლარს, მაშინ სატენდერო განცხადება უნდა განთავსდეს იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში, რომლებიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო

[11] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი. 2010 წლის 01 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია.
[12] გაზეთი «24 საათი», 24.01.2010.

მასშტაბით.[13] თუმცა, ***როგორც სატენდერო კომისიის სხდომის ოქმიდან და, ასევე, შემდგომ მოწოდებული დოკუმენტებიდან ირკვევა, ერთადერთი საინფორმაციო საშუალება, სადაც ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება განთავსდა, არის გაზეთი „24 საათი“,*** რომლის გავრცელების არეალი ძირითადად საქართველოა და ნამდვილად ვერ ჩაითვლება საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებულ გამოცემად.

ამრიგად, კომისიამ ტენდერის დასაწყისშივე უგულებელყო კანონის სავალდებულო მოთხოვნა სატენდერო განცხადების საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებაზე, რის გამოც, ტენდერით დაინტერესება არ გამოუხატავთ დიდი გამოცდილების მქონე უცხოურ კომპანიებს, რომლებსაც შეეძლოთ, ყოველგვარი შუამავლის გარეშე, გაცილებით ნაკლებ ფასში მოეხდინათ საქონლის მიწოდება ქ. ბათუმის მერიისათვის.

სატენდერო განცხადებაზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ქ. ბათუმის მერია მზად იყო, მიმწოდებლისათვის საქონლის მიწოდების სანაცვლოდ, გადაეხადა 1,858,800 (ერთი მილიონ რვაას ორმოცდათვრამეტი ათას რვაასი) ლარი. მაშინ როდესაც, ***შესყიდვების წლიური გეგმის თანახმად, ქ. ბათუმის მერიის ბიუჯეტში 126 ცალი გარე განათების ბოძის შესაძენად გათვალისწინებული ჰქონდა 1,566,504 ლარი, ანუ 289,296 ლარით ნაკლები, ვიდრე ეს სატენდერო განცხადებაში იყო მითითებული.***

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული გეგმის მიხედვით.[14] მოცემულ შემთხვევაში კი, სატენდერო კომისია გასცდა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს და სატენდერო შესყიდვა გამოაცხადა იმ მოცულობის თანხაზე, რაც ბიუჯეტით არ ჰქონდა გათვალისწინებული.

სატენდერო წინადადებების გახსნასა და შეფასებას ესწრებოდა შპს „აჭარგანათების“ წარმომადგენელი, რომელიც, პრაქტიკულად, უალტერნატივო სუბიექტი იყო აღნიშნულ ტენდერში.

---

[13] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „1.ბ” პუნქტი. 2010 წლის 01 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია.

[14] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონი, 2010 წლის 01 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია.

სატენდერო წინადადების შეფასების ეტაპზე მიჩნეულ იქნა, რომ შპს „აჭარგანათების“ სატენდერო წინადადება სრულად აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც, იგი დაშვებულ იქნა ზეპირ ვაჭრობაზე. ზეპირ ვაჭრობაზე პრეტენდენტი მოწვეული არ ყოფილა წერილობითი შეტყობინებით და მისი მოწვევის შესახებ მხოლოდ მითითებულ იქნა სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში, რაც წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-15[1] მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას.

მართალია, მოცემულ შემთხვევაში, ტენდერში მხოლოდ ერთი კომპანია მონაწილეობდა, მაგრამ ეს არ აძლევდა სატენდერო კომისიას უფლებას, გადაწყვეტილება შემოთავაზებულ ფასზე დაყრდნობით მიეღო და არ ემსჯელა სხვა გარემოებებზეც, რომლებიც შეიძლება შექმნილიყო მომავალში სატენდერო წინადადების შესრულების დროს. სახელმწიფო შესყიდვების წესის განხორციელების შესახებ” დებულების მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისიის თითოეული წევრი წერილობითი ფორმით აფასებს ყოველი პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას ცალ-ცალკე. სატენდერო კომისიის წევრები თავის წერილობით შეფასებაზე წერენ დასკვნას და ადასტურებენ ხელმოწერით. როგორც ჩანს, კომისიის წევრებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს, წერილობით დასკვნები მოემზადებინათ და გადაწყვეტილება ზეპირი მსჯელობის საფუძველზე მიიღეს, რაც, თავისთავად, შესყიდვების კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა.[15]

<u>ტენდერი - 20 ცალი გარეგანათების დეკორატიული ბოძის შეძენაზე</u>

<u>(ხელშეკრულება #143, 07.04.2010)</u>

სატენდერო კომისიის პირველსავე სხდომაზე კომისიამ მიღო გადაწყვეტილება სატენდერო განცხადების ტექსტის დამტკიცებისა და გაზეთ ,,24 საათში” მისი გამოქვეყნების

[15] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2009 წლის 3 იანვრის №1 ბრძანების მე-16 მუხლის მე-8 პუნქტი. 2010 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია.

თაობაზე[16]. როგორც სატენდერო განცხადების ტექსტიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 220,000 ლარს. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. შესყიდვების წლიური გეგმის თანახმად, 20 ცალი გარეგანათების დეკორატიული ბოძის შესაძენად გათვალისწინებული იყო 216,560 ლარი (საშუალოდ ერთი ბოძის ღირებულება შეადგენს 10,828 ლარს). აქედან გამომდინარე, ***კომისიას არ ჰქონდა უფლება, შესყიდვა გამოეცხადებინა იმაზე მეტი მოცულობის თანხაზე, რაც ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული.*** ამ შემთხვევაშიც, სატენდერო კომისიამ დაარღვია კანონის მოთხოვნები და ობიექტის სავარაუდო ღირებულება თვითნებურად განსაზღვრა, რაც სატენდერო კომისიის მხრიდან ცალსახად კანონის დარღვევაზე მიუთითებს და სცდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს.[17]

ზემოთ ხსენებული სატენდერო განცხადების ტექსტი სატენდერო კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული და, ისევე, როგორც ამ მიმართულებით 2010 წელს გამოცხადებული ტენდერების უმრავლესობაში, ამჯერადაც შპს „აჭარგანათებამ“ გაიმარჯვა.

<u>ტენდერი - კ. გამსახურდიას ქუჩის (ჭავჭავაძის ქუჩიდან მ. აბაშიძის ქუჩამდე) განათების სამუშაოები</u>

<u>(ხელშეკრულება #144 07.04.2011)</u>

სატენდერო შესყიდვის საწყის ეტაპს წარმოადგენს საგაზეთო განცხადების ტექსტის მომზადება და მისი გამოქვეყნება კანონმდებლობით გათვალისწინებულ პერიოდულ გამოცემაში. 2010 წლის 5 თებერვალს ჩატარდა სატენდერო კომისიის პირველი სხდომა, სადაც დამტკიცდა სატენდერო დოკუმენტაცია, პრეტენდენტთა შეფასების კრიტერიუმები და საგაზეთო განცხადების ტექსტი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-

[16] გაზეთი «24 საათი», 06.03.2010.

[17] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი. 2010 წლის 01 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია.

12 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის თანახმად, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შესასყიდი, მისაწოდებელი საქონლის სავარაუდო ღირებულებას. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. ***მოცემული ტენდერის შესახებ საგაზეთო განცხადების ტექსტის შესწავლის შემდეგ ირკვევა, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 610,000 ლარით. მაშინ, როდესაც ქ. ბათუმის მერიის შესყიდვების წლიური გეგმის თანახმად, აღნიშნული შესყიდვისათვის ბიუჯეტიდან მისი დაფინანსება შემოიფარგლებოდა 606,371.41 ლარით.*** აქედან გამომდინარე, სატენდერო კომისიას არ ჰქონდა უფლებამოსილება, შესყიდვა გამოეცხადებინა იმ ოდენობის თანხაზე, რომელიც შესყიდვების წლიური გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

სატენდერო კომისიის დასკვნით სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად გამოცხადდა ტენდერში მონაწილე ერთადერთი პრეტენდენტი - შპს „აჭარგანათება“. თუმცა, სატენდერო კომისიის წევრებს სატენდერო წინადადების განხილვის დროს არ უმსჯელიათ და არ წარმოუდგენიათ შესაბამისი დასკვნა, სადაც სრულად იქნებოდა ასახული უპირატესობის მინიჭების საფუძვლები. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად კი, როგორც არაერთხელ აღინიშნა, „სატენდერო კომისიის წევრის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს ის პრეტენდენტი, რომელსაც კომისიის წევრი ანიჭებს უპირატესობას, აგრეთვე, უპირატესობის მინიჭების საფუძვლები”. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სატენდერო კომისიის წევრები შემოიფარგლნენ ზეპირი მსჯელობით და წერილობითი დასკვნებისგან „თავი შეიკავეს“, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს სატენდერო კომისიის მხრიდან შესყიდვის პროცედურების დარღვევაზე.

<u>ტენდერი - გარეგანათების ბოძების შეძენა-მონტაჟი</u>

<u>(ხელშეკრულება #389 07.04.2010)</u>

როგორც ირკვევა, მოწოდებული სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ქ. ბათუმის მერიამ, გარე განათების ბოძების

შეძენა-მონტაჟის სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით, გამოაცხადა ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოცხადდა უკონკურენტო შპს „აჭარგანათება“ სატენდერო წინადადებით - 558,948.71 ლარი.

2010 წლის 12 მარტს ჩატარდა სატენდერო კომისიის პირველი სხდომა, სადაც დამტკიცდა სატენდერო განცხადების ტექსტი და პრიორიტეტულობის კოეფიციენტი.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია სატენდერო განცხადების ტექსტთან დაკავშირებული დარღვევები, სადაც საერთოდ არ არის საუბარი ობიექტის სავარაუდო ღირებულების შესახებ. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის თანახმად, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს მისაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა, ხარისხი და სავარაუდო ღირებულება.[18] მიუხედავად იმისა, რომ კანონის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა განცხადებაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების მითითება, სატენდერო კომისიამ მიიჩნია, რომ ფასის აღნიშვნა არ იყო აუცილებელი. შესაბამისად, კომპანიებს არ მიეწოდათ სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაცია ტენდერის შესახებ.

ტენდერი - გარეგანათების წერტების მოვლა-ექსპლუატაციის მომსახურება

(ხელშეკრულება #65, 19.02.2010)

შესყიდვების წლიური გეგმის მიხედვით, გარეგანათების წერტების მოვლა- ექსპლუატაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გათვალისწინებული იყო 678,790 ლარი, რის გამოც სახელმწიფო შესყიდვა ტენდერის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში”[19].

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის თანახმად, თუ

[18] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონი, 2010 წლის 01 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია.
[19] გაზეთი «24 საათი», 14.01.2010.

შესასყიდი საქონლის ან მომსახურების ღირებულება აღემატება 600.000 ლარს, განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ქვეყნდება ვაჭრობის საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ ერთ-ერთ ენაზე, უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში, რომლებიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით.

გაზეთი „24 საათი" იმ პერიოდისათვის არ წარმოადგენდა ფართოდ გავრცელებად მედია საშუალებას და მისი გავრცელების არეალი მხოლოდ საქართველოთი შემოიფარგლება. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „24 საათს" საკუთარი ვებ-გვერდი აქვს, ინფორმაციის განთავსება არ ხდება რომელიმე საერთაშორისო ენაზე.[20] ამრიგად, სატენდერო კომისიამ, ტენდერის საწყის ეტაპზევე დაარღვია კანონის იმპერატიული მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ უნდა გამოქვეყნებულიყო საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებად მედია საშუალებებში.[21] შედეგად კი, ტენდერით ვერ დაინტერესდნენ გამოცდილი უცხოური კომპანიები. თუმცა, მსგავსად სხვა ტენდერებისა, აღნიშნულ ტენდერშიც, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „აჭარგანათება".

გარდა იმისა, რომ დაირღვა განცხადების გამოქვეყნების წესი, განცხადებაში არ იყო მითითებული ინფორმაცია შესასყიდი ობიექტის სავარაუდო ღირებულების შესახებ. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს მისაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა, ხარისხი და სავარაუდო ღირებულება. მიუხედავად იმისა, რომ კანონი იმპერატიულად განსაზღვრავდა აუცილებელ კრიტერიუმთა ნუსხას განცხადების გამოქვეყნების ეტაპზე, სატენდერო კომისიას მოცემულ გარემოებაზე ყურადღება არ გაუმახვილებია.

[20] www.24saati.ge

[21] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „1.ბ" პუნქტი. 2010 წლის 01 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია.

ტენდერი - ქ. ბათუმის ქუჩების განათების სამუშაოები (ხელშეკრულება #440, 22.11.2010)

ქ. ბათუმის ქუჩების განათების სამუშაოებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 33,700 ლარი, რაც იძლეოდა შესაძლებლობას, სახელმწიფო შესყიდვა წარმოებულიყო ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. მიუხედავად ამისა, შემსყიდველი სუბიექტის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო შესყიდვა ტენდერის მეშვეობით განხორციელდა, რაც, თავის მხრივ, დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, თუ ტენდერის შედეგებით ვიმსჯელებთ, მიზანი, რომლის მიღწევასაც ისახავდა შემსყიდველი სუბიექტი, ვერ განხორციელდა პრეტენდენტებისთვის დადგენილი მაღალი ადმინისტრაციული ბარიერების გამო.

კერძოდ, სატენდერო კომისიის პირველსავე სხდომაზე დამტკიცდა სატენდერო განცხადების ტექსტი და პრიორიტეტულობის კოეფიციენტი. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, პრიორიტეტად განისაზღვრა სამუშაოს ღირებულება და, შესაბამისად, მიენიჭა კოეფიციენტი „1.0“.

მიუხედავად იმისა, რომ პრიორიტეტი სამუშაოს ღირებულებას ენიჭებოდა, კომისიის გადაწყვეტილებით, პრეტენდენტებს დამატებით უნდა წარმოედგინათ ანალოგიური ხასიათის და შინაარსის სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი ცნობები, საერთო ღირებულებით - 500 000 ლარი.

თავისთავად, მისასალმებელია, როდესაც შემსყიდველი სუბიექტი ცდილობს, მნიშვნელოვანი სამუშაოების წარმოება გამოცდილ და კვალიფიციურ პრეტენდენტს მიანდოს. მოცემულ შემთხვევაშიც, ერთი შეხედვით, არაფერი უნდა ყოფილიყო უჩვეულო, რომ არა შემდეგი დათქმა: „ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (ცალ-ცალკე 2007, 2008 და 2009 წლებში) შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის და შინაარსის სამუშაოები”. ხოლო ასეთი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი ცნობის წარუდგენლობის შემთხვევაში, პრეტენდენტი დაექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას. რა მოხდებოდა, თუკი ტენდერში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდა ისეთი სუბიექტი, რომელსაც არ ექნებოდა სამ წლიანი გამოცდილება, მაგრამ იქნებოდა ფინანსურად სტაბილური და ორ წლიანი ან ნაკლები გამოცდილების მქონე

პირი? პასუხი ცალსახაა - სატენდერო კომისია მოახდენდა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას იმის გამო, რომ ის სრულად ვერ აკმაყოფილებდა სატენდერო განცხადებით წაყენებულ მოთხოვნებს.

სავარაუდოდ, ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ ტენდერით დაინტერესება გამოხატა იმაზე ნაკლები რაოდენობის სუბიექტმა, ვიდრე ეს სხვა შემთხვევაში შეიძლება მომხდარიყო.

რაც შეეხება სამართლებრივ შეფასებას, სატენდერო კომისიას არ ჰქონდა აღნიშნული საფუძვლით პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის უფლება, რადგან, ამ შემთხვევაში, პრიორიტეტი ენიჭებოდა შესასყიდი ობიექტის სამუშაოს ღირებულებას. ამიტომ პრეტენდენტის გამოცდილების თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნა უნდა ყოფილიყო დამატებითი კრიტერიუმი, რომელიც კომისიის წევრებს სატენდერო წინადადების შეფასებასა და გამარჯვებულის გამოვლენაში დაეხმარებოდა.

ზეპირი ვაჭრობის მომდევნო ეტაპს წარმოადგენდა სატენდერო წინადადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა. „სახელმწიფო შესყიდვების წესის განხორციელების შესახებ" დებულების მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისიის თითოეული წევრი წერილობითი ფორმით აფასებს ყოველი პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას ცალკ-ცალკე. სატენდერო კომისიის წევრები თავის წერილობით შეფასებაზე წერენ დასკვნას და ადასტურებენ ხელმოწერით. თუმცა, როგორც მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, კომისიის წევრებს მსგავსი სახის წერილობითი დასკვნები არ მოუმზადებიათ და გადაწყვეტილების მიღების დროს შემოიფარგლნენ მხოლოდ ზეპირი დასკვნებით, რაც კომისიის მხრიდან კანონის დარღვევას წარმოადგენს. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმის ქუჩების განათების სამუშაოებთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად შპს „აჭარგანათება" გამოცხადდა.

<u>ტენდერი - 229 ცალი დეკორატიული ბოძის სანათებით შესყიდვა</u>

(ხელშეკრულება #389 11.10.2010)

ქ. ბათუმის მერიის სახელით საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ, 229 ცალი დეკორატიული ბოძის სანათებით

შესყიდვასთან დაკავშირებით, განცხადება გამოქვეყნდა 2010 წლის 6 მარტს გაზეთ „24 საათში“. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად კი, მითითებული იყო 1,837,000 ლარი (ერთეული ბოძის ღირებულება შეადგენს 8,021 ლარს).

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. ქ. ბათუმის მერიის მიერ დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმის თანახმად, 229 ცალი დეკორატიული ბოძის სანათებით შემენისათვის გათვალისწინებული იყო 1,254,552.11 ლარი. აქედან გამომდინარე, სატენდერო კომისია ვალდებული იყო, ეხელმძღვანელა შესყიდვების წლიური გეგმით და შესყიდვა შესაბამის თანხაზე გამოეცხადებინა. თუმცა, როგორც მონიტორინგმა აჩვენა, სატენდერო კომისიის მიერ გამოცხადებული ფასი 582,447.89 ლარით აღემატება შესყიდვების წლიური გეგმით დამტკიცებულ ღირებულებას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სატენდერო განცხადებაში, რომელიც გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა, არ არის მითითებული ინფორმაცია შესასყიდი ბოძების რაოდენობის შესახებ. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს შესასყიდი მისაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა, ხარისხი და სავარაუდო ღირებულება. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიამ არ გაითვალისწინა კანონის აღნიშნული მოთხოვნა და სატენდერო განცხადება შესასყიდი ობიექტის რაოდენობის მითითების გარეშე გამოაქვეყნა.

გამომდინარე იქედან, რომ ტენდერში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი - შპს „აჭარგანათება”, სატენდერო კომისიას არ გასჭირვებია გამარჯვებულის გამოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე ნათელი იყო ტენდერის საბოლოო შედეგი, სატენდერო კომისია ვალდებული იყო, ეხელმძღვანელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტით, რომლის თანახმად, გამარჯვებულის გამოვლენის ეტაპზე სატენდერო კომისიის წევრმა საკუთარ დასკვნაში უნდა მიუთითოს ის პრეტენდენტი, ვისაც უპირატესობას ანიჭებს, ასევე, უპირატესობის მინიჭების საფუძვლები. ამასთან, „სახელმწიფო შესყიდვების

წესის განხორციელების შესახებ" #1 ბრძანების მე-16 მუხლის მე-8 პუნქტი დეტალურად მიუთითებს გასათვალისწინებელ კრიტერიუმთა ნუსხაზე, რომელიც მხედველობაში უნდა მიიღონ სატენდერო კომისიის წევრებმა. აღნიშნული ნორმის თანახმად, სატენდერო კომისიის თითოეული წევრი წერილობით აფასებს ყოველი პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას ცალ-ცალკე, ყველა კრიტერიუმის მიხედვით, ათ ქულიანი სისტემით. მოცემულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიის წევრებს მსგავსი წერილობითი დასკვნები არ წარმოუდგენიათ და გადაწყვეტილების მიღების დროს შემოიფარგლნენ ზეპირი დასკვნებით, რაც ასახული იქნა მხოლოდ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში.

<u>ტენდერი - ქ. ბათუმში ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატიული თეატრის მიმდებარე სკვერის განათება</u>

<u>(ხელშეკრულება #145 08.05.2010)</u>

სატენდერო კომისიის პირველი სხდომა ჩატარდა 2010 წლის 8 მარტს, რომელზეც დამტკიცდა სატენდერო განცხადების ტექსტი და პრიორიტეტულობის კოეფიციენტი. ხოლო განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2010 წლის 9 მარტს გაზეთ „24 საათში".

როგორც სატენდერო განცხადებიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტის ღირებულება 290,000 ლარს წარმოადგენდა, მაშინ, როდესაც შესყიდვების წლიური გეგმის მიხედვით, ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის მიმდებარე სკვერის განათების სამუშაოებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 281,671.35 ლარი. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შემსყიდველი შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, კომისიას არ ჰქონდა უფლება, შესყიდვის ფასი იმაზე გაცილებით მეტი დაედგინა, ვიდრე ეს შესყიდვების წლიური გეგმით იყო გათვალისწინებული.

გარდა ამისა, სატენდერო კომისიამ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრა ისეთი მოთხოვნები, რომელთა დაწესება არ გამომდინარეობს კანონიდან და წარმოადგენს

ზედმეტ ადმინისტრაციულ ბარიერს. მაგალითად, ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნად, მსგავსად სხვა ტენდერებისა, მითითებული იყო, რომ:

- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2007, 2008 და 2009 წლები) განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური (გარე განათების კაპიტალური და მოვლა-ექსპლუატაციის სამუშაოები) ხასიათისა და შინაარსის მომსახურება, საერთო ღირებულებით - 500.0 ათასი ლარი.

ამ დათქმით, ერთგვარად შეიზღუდა ტენდერში ერთი ან ორი წლის გამოცდილების მქონე სუბიექტთა მონაწილეობის შესაძლებლობა, რის გამოც ტენდერი ნაკლებად კონკურენტუნარიანი გახდა.

ტენდერში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი - შპს „აჭარგანათება", სატენდერო წინადადებით - 281,671.35 ლარი. 2010 წლის 4 აპრილს ჩატარდა სატენდერო კომისიის დასკვნითი სხდომა, სადაც კომისიის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „აჭარგანათება". თუმცა, სატენდერო კომისიის წევრებს არც ამ შემთხვევაში წარმოუდგენიათ წერილობით დასკვნები.[22]

<u>ტენდერი - ფარნავაზ მეფის ქ. #25-ში მშენებარე შენობების ფასადებისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის ფასადის მინათების სამუშაოები</u>

<u>(ხელშეკრულება #146. 08.04.2010 წელი)</u>

2010 წლის 8 მარტს გაიმართა სატენდერო კომისიის სხდომა, რომელზეც დამტკიცდა სატენდერო განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაციის ნუსხა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სატენდერო კომისიამ საკვალიფიკაციო მოთხოვნებად განსაზღვრა ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც შესაძლოა დამატებითი დამაბრკოლებელი ბარიერი გამხდარიყო დაინტერესებული პირისთვის. მაგალითად:

[22] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2009 წლის 3 იანვრის №1 ბრძანების მე-16 მუხლის მე-8 პუნქტი. 2010 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია.

ა) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2007, 2008 და 2009 წლები) განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონოდა ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური (გარე განათების კაპიტალური და მოვლა-ექსპლუატაციის სამუშაოები) ხასიათისა და შინაარსის მომსახურება, საერთო ღირებულებით - 500.0 ათასი ლარი.

თუ პრეტენდენტი ვერ უზრუნველყოფდა მსგავსი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენას, დაექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, სატენდერო შესყიდვა გამოცხადდა 850,000 ლარზე, მაშინ, როდესაც შესყიდვების წლიური გეგმის თანახმად, აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 848,985.54 ლარი. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შემსყიდველი შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მასში 3-ჯერ შევიდა ცვლილება და შესრულების ვადებმა რამდენიმე თვით გადაიწია. ბოლო ცვლილებით, რომელიც შეტანილ იქნა 2010 წლის 13 სექტემბერს, ხელშეკრულების თანხა შემცირდა 79,708.90 ლარით. აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის ვიტრაჟების მინათების სამუშაოებზე ხელშეკრულება სხვა კომპანიასთან გაფორმდა, რამაც სახელშეკრულებო ფასის ცვლილება გამოიწვია.

საინტერესოა, რამდენად ჰქონდა ქ. ბათუმის მერიას სხვა კომპანიასთან ხელშეკრულების დადების უფლება? „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, ლოტი არის ერთი შესყიდვის ფარგლებში გამოცალკევებული შესყიდვის ობიექტი, რომელიც შემდგომ დაყოფას არ ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, ქ. ბათუმის მერიას არ ჰქონდა უფლება, ტენდერის დასრულების შემდეგ, საკუთარი ინიციატივით, სამუშაოების შესრულების უზრუნველსაყოფად ცალკე ხელშეკრულება დაედო სხვა კომპანიასთან, თუნდაც ამაზე თავად პრეტენდენტს გამოეხატა თანხმობა. სხვა კომპანიასთან ხელშეკრულების დადების კანონიერი შესაძლებლობა ჰქონდა მიმწოდებელს, ისიც ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში

და ,,შემსყიდველის" თანხმობით.[23]

როგორც სხვა უმრავლეს შემთხვევაში, ამ ტენდერშიც მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა, ამიტომ სატენდერო კომისიას ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია გამარჯვებულის გამოსავლენად - სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, უპირატესობა მიენიჭა შპს „აჭარგანათებას". „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისიის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს ის პრეტენდენტი, რომელსაც კომისიის წევრი ანიჭებს უპირატესობას, ასევე, უპირატესობის მინიჭების საფუძვლები. „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" #1 ბრძანების მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისიის თითოეული წევრი წერილობით აფასებს ყოველი პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას ცალ-ცალკე, ყველა კრიტერიუმის მიხედვით, ათ ქულიანი სისტემით. სატენდერო კომისიის წევრები თავის წერილობით შეფასებაზე წერენ წერილობით დასკვნას და ადასტურებენ ხელმოწერით. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიის წევრებს წერილობითი დასკვნები არ მოუმზადებიათ და გადაწყვეტილების მიღების დროს შემოიფარგლნენ მხოლოდ ზეპირი მსჯელობით.

ტენდერი - ახალშემოერთებულ ტერიტორიაზე ქუჩების განათების სამუშაოები

(ხელშეკრულება #147 08.04.2010)

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში"[24], სადაც შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად მითითებული იყო 170,000 ლარი. მაშინ, როდესაც შესყიდვების წლიური გეგმის მიხედვით, ახალშემოერთებულ ტერიტორიაზე ქუჩების განათების სამუშაოების შესყიდვისათვის გათვალისწინებული იყო 166,220.81 ლარი. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შემსყიდველი შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად. ამრიგად, სატენდერო კომისია გასცდა საკუთარი

[23] # 146 ხელშეკრულების 16.1 პუნქტი.

[24] გაზეთი «24 საათი», 12.03.2010.

უფლებამოსილების ფარგლებს და სატენდერო შესყიდვის განხორციელება კანონის მოთხოვნათა დარღვევით დაიწყო.

თავის მხრივ, ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი შპს „აჭარგანათება", სატენდერო წინადადებით - 166,220.81 ლარი. აქედან გამომდინარე, სატენდერო კომისიას არ გასჭირვებია გამარჯვებულის გამოვლენა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისიის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს ის პრეტენდენტი, რომელსაც კომისიის წევრი ანიჭებს უპირატესობას, ასევე, უპირატესობის მინიჭების საფუძვლები. „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" 2006 წლის 3 იანვრის #1 ბრძანების მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისიის თითოეული წევრი წერილობით აფასებს ყოველი პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას ცალ-ცალკე, ყოველი კრიტერიუმის მიხედვით, ათ ქულიანი სისტემით. სატენდერო კომისიის წევრები თავის წერილობით შეფასებაზე ამზადებენ წერილობით დასკვნას და ადასტურებენ ხელმოწერით. თუმცა, მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, სატენდერო კომისიის წევრებს წერილობითი დასკვნები არ წარმოუდგენიათ.

3. დასკვნა

წარმოდგენილ ანგარიშში საიას აჭარის ფილიალი შეეცადა, მკითხველისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია 2010 წელს ბათუმის მერიის მიერ ქალაქის გარეგანათების მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების პროცესის შესახებ.

როგორც მონიტორინგის შედეგებიდან ირკვევა, სატენდერო კომისიის მუშაობის დროს ხშირად ირღვეოდა კანონით გათვალისწინებული ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა:

- განცხადების გამოქვეყნების წესი;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის წესი;
- სატენდერო წინადადების განხილვა, შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა;
- სხვაობა შესყიდვის წინასწარ განსაზღვრულ წლიურ გეგმასა და სატენდერო განცხადებაში მითითებულ ფასებს შორის.

საყურადღებოა, რომ 2010 წელს ბათუმის გარეგანათების მიზნით

ჩატარებული 15 ტენდერიდან 14-ში ერთმა კომპანიამ - შპს „აჭარგანათებამ“ გაიმარჯვა. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, შპს „აჭარგანათება“ ერთადერთი კომპანია იყო, რომელიც 2010 წელს ბათუმის გარეგანათების მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში იღებდა მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიშში მხოლოდ 2010 წელს ბათუმის გარეგანათების მიზნით ჩატარებული ტენდერების პროცესის მონიტორინგია ასახული და ის არ მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად კანონის და ხელშეკრულების შესაბამისად სრულდებოდა სახელმწიფო შესყიდვით გათვალისწინებული მოთხოვნები ტენდერში გამარჯვების შემდეგ. თუმცა, მონიტორინგის განხორციელების პროცესში საიას აჭარის ფილიალისთვის ცნობილი გახდა, რომ 2010 წლის 9 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აჭარა-გურიის სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე შპს „აჭარგანათების” ხელმძღვანელი პირების მიერ ყალბი დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე.[25] გამოძიების ეტაპზე, ასევე, შესწავლილ იქნა 2007-2010 წლებში ჩატარებული ყველა ის ტენდერი, რომელშიც მონაწილეობდა შპს „აჭარგანათება“.

თუმცა, მონიტორინგის მიმდინარეობის ეტაპზე აღნიშნულ ფაქტზე მეტი ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა.

ვფიქრობთ, მონიტორინგის ანგარიშში მოყვანილი ყველა ფაქტი აუცილებლად უნდა გახდეს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან კომპლექსურად შესწავლის საგანი.

[25] ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 აგვისტოს ბრძანება, საქმე №11/ა-766/10წ.